ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3492955

ნომერი: AR1528620

თარიღი : 30.07.2017

გაცემის თარიღი : 23.08.2017

გაცნობის თარიღი : 23.08.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აბაშიძე , N 2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბექა სუჯაშვილი პ/ნ 01020012118
- თბილისი II ძმობის ქ. N 8

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
- იმისათვის რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხზე წარმოდგენილ იქნას მიწის ნაკვეთზე არსებული შენობებისა და საპროექტო შენობა-ნაგებობის კ-1 კოეფიციენტის საანგარიშო კონტურებლი შესაბამისი ფორმულის დატანით, რომლის შემდგომ სამსახური ხელახლა იმსჯელებს აღნიშნულ საკითხზე. მიეთითიოს ტერიტორიაზე ყველა არსებული შენობების განაშენიანების ფართობები (ჩაიწეროს თითოეულის ფართობი საჯარო რეესტრის #–ის მითითებით), ხოლო შემდგომ მათი ჯამური მონაცემის მიხედვით იქნას დაანგარიშებული კოეფიციენტი).
ამასთან მოგახსენებთ რომ ვინაიდან ტერიტორიაზე სადაც იგეგმება დამატებით ახალი შენობის განთავსება, ფიქსირდება ხაზოვანი ნაგებობები და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით შენობის განთავსება ხდება ზედ ჭებზე, საჭიროა წარმოდგენილ იქნას აღნიშნული ხაზოვანი ნაგებობის მესაკუთრის თანხმობა
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი. გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.